№ 64 ხუთშაბათი, 12 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 64 ხუთშაბათი, 12 ნოემბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკოდა სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფ უ ლ ი ს გ ა მ ო ს ა გ ზ ა ვ ნ ი ა დ რ ე ს ი:**

Тифлисъ, тип. ,,Шрома'', **Калистрату Конст. Цуладзе.**

წარმოდგენა **15.** **ქართული თეატრი** წარმოდგენა **15.**

**აბონიმენტი** მე-**5.**

**ხუთშაბათს, 12 ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ განახლების შემდეგ პიესა ბარეტისა

## ახალი მოძღვრება

დრ. 5 მოქ. და 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილ-ხაშმელი, კ. მესხი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფროვი.

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ლოჟები 10 მ. 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 60 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: ახალი პიესა პ. გოთუასი «პარტიის კაცი?!»,

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს ფ. ბიზეს „**კარმენი**“ ოპერა 4 მოქ. მუსიკალური დადგმა ანტ. ეიხენვალდისა. მონაწილეობენ: ელაგინა, ზასლავსკაია, კალინინა, ფერრარაი; ბ-ნნი: ბორისოვი, გუკასოვი, დემიანენკო, ევლახოვი, ობრუოვი, პევცოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ თფილისის ქალთა მე-5 გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ 1) „**ლაკმე**“; 2) **ბალეტის დივერტისმენტი.** კვირას, 15 ნოემბერს, დილის სპექტაკლი დაკლებულ ფასებში «**ევგენი ონეგინი**». მზადდება წარმოსადგენათ ა. რუბინშტეინის „**ნერონი**“ და მასსენე-ტაის „**კორნევილის ზარები**“.

---

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**ბურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. გ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი გ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—34)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

---

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. გ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—34)

---

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ხუთშაბათს, 12 ნოემბერს,** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ **გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. თარგმანი ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ მაურამდე. ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილ იქნება „**ლალატი**“. სუმბათაშვილისა და სხ.

დაბეჯითებითა ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი** ადმინისტრატორი **სვირელი.**

---

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ ,,მომავალის'' რედაქციაში, რუსის ქუჩა № 3. (0—25)

---

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

## „НОВАЯ РѢЧЬ“

**Отдѣльный № 3 коп.**

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.
ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ
**Адресъ:** Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь“
Дворцовая, домъ груз. дворянства.
Ред.-изд. **П. А. Готуа.**

---

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

---

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 8.

**შაბათს, 14 ნოემბერს,** 1909 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## დ ა-ძ მ ა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ-ნნი: რჩეულოვისა, მარგველაშვილი; ბ-ნნი: გელიკურაშვილი, გიორგაძე, მირველოვი, მაისურაძე, მამულაშვილი, სალაყაია, ქიზიყელი, ჩელტიძე, ჯიბლაძე და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

უმორჩილესათ ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროთ წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილ იქნება.

დირექცია **ამო ხარაზიანცი.**

---

სახალხო სახლი.

ხვალ, 13 ნოემბერს, იხსნება მუსიკალური საზოგადოება, რომელიც დაარსდა სახალხო სახლში. შესდგება ჩაიკოვსკის სახსოვრათ

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დანილოვა, მინკევიჩი, მარცინკევიჩი, ნავასარდიანი, ნიკოლაევა, სამოილოვა, როჩუპკინა; ბ.ბ. ბუნერვიჩი, ვალენსკი, ვართანოვი, კაევი, პოლიევი, ტერ-დავიდოვი, ცხომელიძე, ბებუევი და სხ.

**ხორი და ორკესტრი ს. პალიევის და ვინჩენკოს ლოტბარობით.**

კონცერტის წინ ბ. ტერ-დავიდოვი გააცნობს საზოგადოებას ამ ახლად მუსიკალური საზოგადოების დაარსების მიზანს.

მაქსიმოვი წაიკითხავს ჩაიკოვსკის ბიოგრაფიას. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასი 5 კაპ.-დან 8 კ.

**ადმინისტრატორი თ. დოლიძე.**

---

## ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

## ისიდორე შილაკაძე.

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—6)

---

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

## НАШЪ КРАЙ

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литературныя силы, такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

**подписная цѣна:** Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

---

## ვღებავ თმას

დედაკაცისას და მამაკაცისას შავათ და მიხაკის ფერათ. ადრესი: რუსის ქ. № 3, ბინა 14, იკითხეთ ბუხრაძე. (5—4)

---

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—8)

---

## ბათუმში

**გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

## გიორგი მახარაძესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.**

(10—6)

---

**კბილის ექიმი**

## ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

---

## პრესა

ამას წინათ დუმამ განიხილა ს.-დემ. ფრაქციის მიერ შეტანილი შეკითხვა პროფესიონალურ კავშირების დევნა-დახურვის შესახებ. შეკითხვაში მოყვანილი იყო აუარებელი ფაქტები—თუ როგორ ავიწროებენ, სდევნიან და სულ უბრალო მიზეზების გამო ხურავენ მუშათა პროფესიონალურ კავშირებს. შეკითხვას მხარი დაუჭირა არა მარტო ოპოზიციამ, არამედ დუმის ცენტრმაც, რომლებიც ამბობდენ, რომ საჭიროა ხელი შეუწყოთ მშრომელი მასსის მშვიდობიან განვითარებას პროფესიონალურ ინტერესების ნიადაგზე და მოშორებულ იქნეს ყველა ის დაბრკოლებები, რომელიც ამართულია მისი განვითარების გზაზედ. მთავრობის წარმომადგენელი გენ. კურლოვიც თითქოს კვერს უკრავს ასეთ აზრს და თავის ვითომდა გასამართლებლათ აცხადებს, რომ „მთავრობა პროფესიონალურ ორგანიზაციებს კი არ ებრძვის, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდასო“. მაგრამ ყოველივე ამ საპირფერო და «საგარეო'' განცხადებას არავითარი გავლენა არ აქვს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებს მთავრობა პროფესიონალური კავშირების წინააღმდეგ. ამ მხრით ეხება ამ კითხვას „რუს. ვედ.“ და ამბობს:

„დუმა სხვაა, ცხოვრება და სინამდვილე კი სულ სხვა. დუმაში ამა თუ იმ მოვლენას აფასებენ, არკვევენ, თავის სურვილს გამოსთქვამენ, ცხოვრება და სინამდვილე კი ამ დროს თავისებურ მსვლელობას განაგრძობს. თვით დუმაში კამათის დროს და მის შემდეგაც, როცა უკვე ხალხის წარმომადგენლების შეხედულება ამ კითხვის შესახებ აშკარა შეიქნა, პროვინციებში ისევ ძველი პოლიტიკის თანახმათ მოქმედებენ. კიდევ მეტი. ადმინისტრაციის რეპრესიები კავშირების წინააღმდეგ სწორეთ მაშინ ძლიერდება, როცა სახალხო წარმომადგენლები ამ კითხვის განხილვას იწყებენ და როცა მათი შეხედულება ამ კითხვის შესახებ უკვე საჯაროთ გამოთქმულია. ოდესაში ამ დროს საზოგადოებათა საქმეების გამრჩევი საკრებულო, რომლის თავმჯდომარე გენ. ტოლმაჩევია, რვა პროფეს. კავშირს ერთად ხურავს. მოსკოვში დახურეს ორი დიდი პროფ. კავშირი, ივანოვო-ვაზნესენსკში დახურეს ტეხნიკოსების პროფ. კავშირი და სხვა. ადგილობრივი ადმინისტრაცია თითქოს ჩქარის, რომ ცხადათ დაგვანახოს და დაგვიმტკიცოს, თუ რამდენათ ნაკლებ ანგარიშს უწევს და შეეფერება მათი მოღვაწეობა იმას, თუ რას ლაპარაკობენ და რა ხდება დუმაში და მით უფრო რა სურს ხალხის წარმომადგენლებს. რით აიხსნება მთავრობის ასეთი რეპრესიები კავშირების წინააღმდეგ? „დაწყნარება“ არაფრით არ დარღვეულა, ლიკვიდაციიდან გადარჩენილი კავშირები არამც თუ რამე „გამოსვლებზე“ ფიქრობენ, თავის არსებობას ძლივსღა იცავენ. მაშასადამე რადას ნიშნავს მათ წინააღმდეგ დაწყებული ომი? რაღა ფასი და მნიშვნელობა აქვს ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დუმას?“

„რუს. ვედ.“ ისე კითხულობს ამას, თითქოს ეს ახალი ამბავი იყოს. თითქოს ყოფილიყოს ისეთი დრო, როცა მთავრობას ანგარიში გაუწევია დუმის სურვილებისათვის და მით უმეტეს, ასეთ საკითხებში. დუმის სურვილებს, მხოლოდ მაშინ აქვს მთავრობისათვის მნიშვნელობა, როცა ეს „სურვილები“ ეთანხმება თვით მთავრობის სურვილს. და რაკი ამ შემთხვევაში დუმის უმეტესობის სურვილი ცოტათი მაინც განსხვავდება მთავრობის სურვილისგან, რაღა გასაკვირია, თუ ის მას ანგარიშს არ უწევს და ისევ ძველებურათ განაგრძობს თავის პოლიტიკას. თავის თავათ ცხადია, რომ მთავრობის ასეთ პოლიტიკას დუმის სურვილები კი ვერ შესცვლიან, არამედ...

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ნოემბერი.

### სპარსეთი.

**თეირანი.** თეირანიდან არდებილისაკენ წასული ეფრემის რაზმი ზენჯანში გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ მოლა-კურბანალიმ, ვეღარ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა და მთებში გაიქცა. მთავრობის ჯარებმა ციტადელი დაიჭირეს და აჯანყების მეთაურნი შეიპყრეს. მთავრობამ მათ ჯარიმათ დაადვა 200 ათასი მანეთი. ქალაქის მოედანზე სახრჩობელა აღმართეს.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლორდი—კანცლერი სიტყვას ამბობს და პროტესტს აცხადებს კონსტიტუციონურ უფლებების დარღვევის შესახებ წინადადებაზე და ისეთ დამოკიდებულებაზე მთავრობის კანონ-პროექტებთან, როგორიც ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოიჩინეს. ორატორი აცხადებს, რომ არც ერთ ლიბერალურ მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის მართვა-გამგეობა, თუ მომავალში უზრუნველ-ყოფილი არ იქნებიან ასეთ მოქმედებიდან. ლანსდოუნმა პირველი ნაბიჯი გადასდგა კონსტიტუციონურ რევოლიუციისაკენ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. ჟორესი მოითხოვს გამოქვეყნებულ იქნეს საფრანგეთის ესპანიასთან საიდუმლო ხელ შეკრულობა. პიშონი აცხადებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ხელ-შეკრულება, რომელიც ყველამ იცის. მიუხედავათ ამისა, განაგრძობს მინისტრი—როგორც კი ორივე ქვეყნის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივლენ, რომ საჭიროა საგანგებო ხელ-შეკრულობა ვალდებული იქნებიან მიიღონ სახეში ის შემთხვევითი პირობები, რომლებიც მათი პოლიტიკის წინააღმდეგი იქნება, რომ ესპანიის და საფრანგეთის სურვილის წინააღმდეგ თავს იჩენენ ასეთი შემთხვევები, ორივე ქვეყანა ვალდებული იქნება წინდაწინ გამოარკვიოს თავისი მასთან დამოკიდებულება. დღეს მხოლოდ **1904** წ. ხელ-შეკრულობა არსებობს.

**ნიუ-იორკი.**—დაარსდა რაიტის (საქციონერო საზოგადოება?) კაპიტალი მი-

ლიონი დოლარი. დამფუძნებელთა რიცხვში ურევია კორნელი ვანდერბილტი, აუგუსტ ბელმონტი და სხვა მსხვილი კაპიტალისტები. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია რაიტის ერთი ძმა.

**ბუდაპეშტი**. ვენგრიის დეპეშათა სააგენტოს ვენიდან ატყობინებენ, რომ დილით გოფბურგში ფრანც იოსების თავმჯდომარეობით მოხდა ვენგრიის მინისტრთა სხდომა, რომელიც საათი და 45 წუთი გაგრძელდა. სხდომის შემდეგ კოშუტმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მინისტრთა საბჭომ დაწვრილებით განიხილა ყველა საკითხები, რომელიც კრიზისის მიერ გამოწვეულ მდგომარეობას შეეხება, მაგრამ გადაწყვეტილი დადგენილებანი ჯერ არ მიუღია; სხდომის გაგრძელების შესახებ ჯერ განკარგულება არ მოუხდენიათ. ვენგრიის მინისტრები საღამოს ბუდაპეშტში დაბრუნდენ.

### რუსეთი.

**კიევი.** რკინის გზებზე დიდი ქარბუქია. მატარებლები იგვიანებს.

**ხარბინი**. გერმანიის ელჩის და რუსეთის მთავრობის შორის მომხდარ ინციდენტის გამო ლუდის ქარხნის შესახებ, გერმანიის ელჩი მივიდა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბინაზე და მწუხარება განაცხადა ამ ინციდენტის შესახებ.

**პეტერბურგი**. გაიხსნა ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა მეოთხე სიეზდი. შეიკრიბა 400 კაცამდე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კრესტიუნიკოვი. სიეზდს მიესალმენ ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი, ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი ატროგრადსკი. გზათა მინისტრმა რუხლოვმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა სიეზდს. სხვათა შორის ფინანსთა მინისტრმა თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ მისი მისალმება მარტო წერილობით არ არის გამოწვეული, არამედ სამართლიანობით, რადგანაც ვაჭრობა-მრეწველობა და ფინანსები მჭიდროთ არიან შეკავშირებული. სიეზდის მუშაობამ უკვე სასურველი ნაყოფი მოიტანა, რის დამამტკიცებელია შორეულ აღმოსავლეთში პორტო-ფრანკოს დახურვა, რასაც თხოულობდა სიეზდი.

**პეტერბურგი**. სენატმა უყურადღებოთ დასტოვა შვიდი სომეხის საკასაციო საჩივარი. მათ თფილისის სამოსამართლო პალატის მიერ გადაწყვეტილი ქონდა სხვადასხვა ვადით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

**ნოვოჩერკასკი**. პიატიზბანსკის სტანიცის იურტაში მიწა ჩამოინგრა და ვეებერთელა ჩონჩხი გამოჩნდა ორი საჟენის სიმაღლე, ძველი დროის ცხოველის. მიწაზე ამჩნევია, რომ ეშვები თოთხმეტი მეოთხედი ქონია ცხოველს.

**ხარბინი**. საოლქო სასამართლომ გაამართლა გაზეთ „ხარბინის“ და „პოლიტიკის“ რედაქტორები, რომელნიც 129 მუხლის ძალით იყვენ პასუხის გებაში მიცემულნი.

**პეტერბურგი**. გაიხსნა თათბირი გადასახლებულთა გადაყვან-გადმოყვანის საკითხის მოსაწესრიგებლათ 1910 წელში.

საოლქო სასამართლოში შესდგა სამაზრო ვაჭრობა ვარგუნინების ქაღალდის ქარხნის გასასყიდათ, ყველაზე მეტი ფასი მორიცის და გერცის ბელნინის ფირმამ შეაძლია—1,600,000 მანეთი.

ექსპროპრიატორი, რომელიც ქალაქის ლომბარდის ხაზინადარ ქალს დაეცა ფულის წასართმევათ, გრადონაჩალნიკმა სამხედრო საოლქო სასამართლოს გადასცა გასასამართლებლათ.

**მოსკოვი**. ბლერიოს ჰაერში გაფრენა არ მოხდა. გიუოს ავატორმა ფრთა მოიტეხა და მონოპლანიც დაზიანდა. მონოპლანმა გაფრენა ველარ შესძლო. ათიათას მაყურებლებს ფული უკან დაუბრუნეს.

დოროგომილოვის ქუჩაზე ლუდის სახარშავ ქარხნის მეარტელეს სამი მცარცველი თავს დაეცა და ათი-ათასი მანეთი წაართვეს. ერთი მცარცველთაგანი პოლიციამ დაიჭირა.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**პეტერბურგი**. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 7. მოკვდა 1, ავათ არის 83.

**მოსკოვი**. ხოლერით ავათ გახდა 1.

**პოლტავა**. ავათ გახდა ერთი.

## უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**გადასახადების გადიდება.** სადამოჟნო გადასახადების გადიდების საკითხი ახლო მომავალში არ გადაწყდება. მოლაპარაკება გაგრძელდება რამოდენიმე თვეს. რუსეთი მოითხოვს, რომ ახალი კანონ-პროექტიდან გამორიცხულ იქნას გადასახადი ხორბალზე და ფქვილზე.

**გაზეთების დახურვა**. ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა ბერძნული გაზეთები: „კრატოსი“, „აკროპოლი“ და სხვები. აიკრძალა აგრეთვე ოსმალეთის საზღვრებს შიგნით გაზეთ „იენი-იოლის“ შემოტანა, რომელიც პარიზში გამოდის. გაზეთი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა.

**იზეთ-ფაშა**. აბდულ-ჰამიდის მეორე მდივანი, ცნობილი იზეთ-ფაშა, რომელიც ამ ჟამათ კაირში იმყოფება, თხოულობს ოსმალეთში დაბრუნების ნება მისცეს მთავრობამ. ის თავის თავს კონსტიტუციის მომხრეთ აცხადებს და იმედი აქვს თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს სამხედრო სასამართლოს წინაშე წარდგომის დროს.

### რუსეთი

**დუმის გარშემო.** ციმბირელი დეპუტატების ჯგუფმა ვ. ა. კარაულოვს მიანდო ადგილობრივ სასამართლოებზე კამათის დროს შემდეგი განცხადება შეიტანოს დუმაში: „ყოველი რეფორმების დროს ციმბირის ინტერესებს უყურადღებოთ სტოვებს მთავრობა. ადგილობრივ სასამართლოების რეფორმა ციმბირში მეტათ საჭიროა ამ ჟამათ, ვინემ ევროპის რუსეთში. მიუხედავათ ამისა სასამართლოს რეფორმა ციმბირს არ შეეხება. დუმა ვალდებულია აღნიშნოს ამ რეფორმის საჭიროება ციმბირისთვისაც და შესაფერი კანონ-პროექტიც შეიმუშავოს“.

— დუმის კულუარებში დეპუტატების უმრავლესობა ა. ი. გუჩკოვს კიცხავს გრ. უვაროვთან მომხდარ უთანხმოების გამო. გუჩკოვის მოქმედებას ადარებენ ერთგული მოსამსახურის როლს, რომელიც თავისი ბატონისათვის ზრუნავს.

— დუმაში ახალი ჯგუფი დგება. პოლონელთა კოლო და პროგრესისტები ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ კითხვებში შეთანხმდენ. შეთანხმებული ფრაქციების სახელით დეპუტატმა ეფრემოვმა გუჩკოვთან მოლაპარაკება გამართა მთელი რიგი საკითხების შესახებ ერთათ მოქმედების შესახებ. თუ ეს კომბინაცია განხორციელდა, ახლათ შედგენილ ჯგუფს 186 წევრი ეყოლება.

**სერებრიაკოვის წერილის გამო.** როგორც მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, პროვოკატორ სერებრიაკოვას ქმარმა „რ. ვ.“ წერილი დასტამბა, სადაც ირწმუნებოდა, რომ ჩემი ცოლი არასოდეს პოლიციის აგენტათ ან რევოლიუციონურ ორგანიზაციების წევრათ არ ყოფილაო. სხვათა შორის „რუს. სლ.“ რედაქციას პასუხის გებაში მიცემით დაემუქრა. ამის გამო „რუსსკოე სლოვოს“ რედაქტორი თავის პარიზელ კორესპონდენტს შეეკითხა დეპეშით. კორესპონდენტს ბურცევისათვის მიუმართავს, რომელსაც განუცხადებია, რომ მას საკმაო საბუთები აქვს სერებრიაკოვას პროვოკატორული მოქმედების შესახებ, რაც ახლო მომავალში გამოქვეყნდება. სხვათა შორის ბურცევს უთქვამს, რომ მას ხელთ აქვს პოლიციის დეპარტამენტის მოხსენება სერებრიაკოვას 5,000 მანეთით დაჯილდოვების შესახებ. ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია სერებრიაკოვას „მოღვაწეობა“. ბურცევს შეკითხვა მოუხდენია აგრეთვე რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრებთან, რომელთაც ბურცევის აზრი დაუდასტურებიათ.

**ყალბი ატესტატები**. კიევის უნივერსიტეტის კანცელარიაში იმ კბილის ექიმების მოწმობები შემოწმეს, რომელთაც უკანასკნელი წლების განმავლობაში დასახელებულ უნივერსიტეტში დაუქერიათ ეგზამენი. შემოწმების დროს 206 მოწმობიდან 100 ყალბი გამომდგარა. გამოძიების შედეგები სასამართლოს პროკურორს აცნობეს.

**მიტრ. ანტონის შეწირულება.** მიტროპოლიტ ანტონიმ მიხაილ მთავარანგელოზის კავშირს უხვი შეწირულება გაუგზავნა და თან სურვილი გამოსთქვა დაუახლოვდეს კავშირის საქმეებს, რომ უფრო კარგათ გაეცნოს მას.

**ილიოდორეს სიტყვა**. სარატოვში ახლათ დანიშნულმა „გადარეულმა“ ბერმა ილიოდორემ მუსიკალურ სასწავლებელში სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ბევრი ცნობის მოყვარე ხალხი დაესწრო. „მწერლები, სამხედრო პირები, მასწავლებლები, მოხელეები, ვაჭრები, ქალაქის მუშები, უბრალო ხალხი, რომლებმაც კი ცივილიზაცია იგემეს, სუყველა ურწმუნოები, წარმართები, ანტექრისტეს მსახურნი და „სტერვიატნიკები“ არიან. ის კაზაკებიც, რომლებმაც იაპონელები ვერ დაამარცხეს, ილიოდორეს სიტყვით, ისეთი შვილები არიან, „мать которыхъ начинается съ буквы с.“ მთელი ცივილიზაცია—ეს გარყვნილების ზღვაა—განაცხადა ილიოდორემ, და მთელ რუსეთს მოუწოდა იაპონელებისაგან მოსალოდნელ თავდასხმისაგან დაცვისათვის. ილიოდორეს ქადაგებას, სხვათა შორის დაესწრენ, თავად-აზნაურთა წინამძღოლი ოზნობიშინი და ეპისკოპოსი დოსიფეი.

**შახი სტამბაში**. მაჰომედ ალს „ოდესის ნოვოსტის“ რედაქცია და სტამბა დაუთვალიერებია. შახს დაწვრილებით გააცნეს გაზეთის გამოცემის ტეხნიკური მხარე. შახი აღტაცებაში მოუყვანია საბეჭდავი მანქანის მოძრაობას.

**„ახალი ისრაილი“**. როსტოვში დაარსებულა ახალი სექტა სახელათ „ახალი ისრაილი“. სექტა უარს ყოფს პირჯვრის წერას, ხატებს და ქორწინების საიდუმლოებას. სექტა რამდენიმე ცოლის ყოლას და მათ გაცვლა-გამოცვლას ალიარებს. ბავშვებს უარ ყოფით ეკიდებიან. სექტის მეთაურია ვორონეჟის გუბ. გლეხი ვ. ლუბკოვი. სექტის მიმდევრები სარატოვის გუბერნიაშიაც გაჩენილან. სასექტო კომისიამ შესაძლებლათ ვერ სცნო 1906 წ. 17 ოქტომბრის კანონის ძალით ამ სექტისთვის ლეგალური არსებობის უფლება მიეცა.

**8 საათის სამუშაო დღე.** ფინლიანდიის უკვე დათხოვილმა სეიმმა მესამე კითხვის დროს მიიღო 8 საათის სამუშაო დღე სრულ წლოვანთათვის, მხოლოდ 6 საათის სამუშაო დღე—მცირე წლოვანთათვის.

### შორეულ აღმოსავლეთში.

**მოძრაობა კორეიაში.** „რეჩს“ ხარბინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კორეიაში მოსულ უცხოელებს, უმთავრესათ რუსებს, სასტიკ თვალ-ყურს ადევნებენ. ჩდილოეთ კორეიაში მოძრაობა შესამჩნევათ იზდება. ხალხი ფარულათ იარაღს ისხამს. სეულიდან კორეის ზოგიერთ ადგილებში იაპონელთა სამთო ბატარეის ბრიგადები გაიგზავნა. მათ შეტაკება მოსვლიათ აჯანყებულებთან. შედეგები არ იციან. კორეიდან გაგზავნილ დეპეშებს იაპონიის მთავრობა სასტიკ ცენზურის ქვეშ ატარებს.

### საზღვარ-გარეთ.

**ბრძოლა ბიუჯეტისათვის.** ინგლისში სერიოზული ბრძოლა იწყება ბიუჯეტის გამო. ლორდთა პალატის 618 წევრისაგან მხოლოდ 111 კაცია ლიბერალი, რომლებიც ბიუჯეტის სასარგებლოთ მისცემენ ხმას. ლორდების მიერ ბიუჯეტის უარყოფას ინგლისში საუკუნოებით განმტკიცებულ პარლამენტარულ ჩვეულების დარღვევათ მიიღებენ, რისთვისაც 40 მილიონი ხალხი ლორდთა პალატას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს.

**მდგომარეობა მაროკოში.** ისპანიის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მაროკოში ომი ფაქტიურათ გათავებულათ უნდა ჩაითვალოს. დაპყრობილ ადგილებში ისპანია 43 პოზიციას გაამაგრებს, რისთვისაც გადადებულია 40 მილიონი პეზეტი (ფრანკი).

**დემონსტრაციები.** 1 ნოემბერს ფრანკფურტში (მაინზე) სოციალ-დემოკრატებმა მიტინგი გამართეს, რომელზედაც მსჯელობა ქონდათ ბადენის და საქსონიის ლანდტაგების არჩევნების შედეგებზე. მიტინგის შემდეგ ხალხი სოციალისტური სიმღერების მღერით და საერთო ხმაურობით, რომლითაც ოთხფორმულიან საარჩევნო წესის შემოღებას მოითხოვდა, გაემართა ბისმარკის ძეგლისაკენ. აქ ერთმა ორატორმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც გაკიცხა ბისმარკი, როგორც ყოველ-გვარი შევიწროების წარმომადგენელი. ხალხი „ძირს ბასმარკის“ ძახილით შეხვდა ორატორის სიტყვას. შემდეგ პროცესია შილლერის ძეგლისაკენ გაემართა. აქაც ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს და შილლერი დაახასიათეს როგორც რევოლიუციონერი და თავისუფლების დამცველი. ბოლოს პოლიციამ ძლივს შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა. ბევრი დაატუსაღეს.

**250 მუშის დაღუპვა.** ამერიკაში „პავლე კოალის კომპანიის“ მაღაროებში აფეთქება მოხდა. აფეთქების დროს მაღაროებში იყო 490 მუშა. 24 მუშა, რომელნიც მაღაროების ზემო სართულში იყვენ, ნიშნის მიცემისათანავე ამოიყვანეს ზევით. 12 მუშამ უკანვე დაბრუნება მოისურვეს, რომ ამხანაგებისთვის დახმარება აღმოეჩინათ. არ გასულა რამდენიმე ხანი, რომ მათ ისევ ზევით ამოყვანის ნიშანი მისცეს. დამსწრეთ მათ დანახვაზე თავზარი დაეცათ, გმირი მუშები მთლათ ცეცხლში იყვენ გახვეულნი, მათ პირის სახე სრულიად შეცვლოდათ. მუშები თურმე შუაგულ ცეცხლის ალში ჩაცვინულიყვენ. მიღებული ზომებით უკვე გადაურჩენიათ 240 კაცი. მაღაროებში დაიღუპა 250 კაცი.

---

### ფუტკარი და ყვავილი.

(იოანას გალგრიმსონისა.)

ფუტკარი თავის ოჯახობით მოეთავსა ხის ხვრელში. ახლო იმ ადგილიდან იზრდებოდა მინდორზე პატარა ყვავილი.

ფუტკარი დიდი გამოცდილი იყო ცხოვრებაში. დიდი ხნის წინათ, როდესაც ის ახალგაზრდა იყო, გაიგო ბუნების სილამაზე და სიმშვენიერე და მაშინ ესიზმრებოდა მას მხოლოდ ზაფხული და მზე. ახლა ის ბერდებოდა. მან გაიგო ქვეყნის ფასი. ახლა ფუტკრის ერთათ-ერთი გამამხიარულებელი იყო შვილების მოვლა. ის ფიქრობდა მარტო სარაჯის და თაფლის მოგროვებაზე თავის შვილებისთვის.

ყვავილი ჯერ სულ ახალ გაშლილი იყო. გაიშალა განთიადზე, იმ დროს, როდესაც იწყო მზემ ამოშუქება თავის სხივებისა. ყვავილმა არ იცოდა არც საღამო და არც სიბნელე. ყველაფერი მას ეგონა მშვენიერი, განსაკუთრებით დღის მნათობი, რომელმაც დაუწყო მას ისეთი მოფერება, როგორსაც დაუწყებს დედა თავის ახალ-გაღვიძებულ შვილს. ყვავილი მზის სხივებისაგან გამთბარი იყო და მომავალზე ფიქრობდა.

ფუტკარმა გამოიხედა თავის სკიდან, უნდოდა გაეგო, როგორი ამინდი იდგა.

— ჰო, ასე ვფიქრობდი მე?—სთქვა მან თავის გუნებაში.

— მე დამაგვიანდა. მთელი მინდორი აყვავებულია, ყველა ყვავილები გაშლილა. ჰე! მე რომ არ ვიყვე ასე დაბერებული. ისე მალე არ ვიგრძნობდე დაღალვას, მე დღეს შევკრებდი ბევრ წვენს, მაგრამ ეს დაწყევლილი სიბერე მაწუხებს მეც და შვილებსაც. მან დაიფრთხიალა, გაშალა პაწაწა ფრთები, ბრმ... რომ არ დააგვიანდეს, ის ჩქარობს ნახოს ყველა ადგილები სადაც იყო თაფლი, და მოჰქონდა ყვავილის ყვითელი მტვერიც. როდესაც ის დაიტვირთვა კარგათ და შეატყო, რომ მეტს ვერ წაიღებს, მოინდომა დასვენება. ჩამოჯდა ყვავილზე, ჩაუშვა ძირს ფეხები და დაიძინა. ყვავილს ეწყინა მზის დაბნელება. მძიმე ტვირთი აწვა მას და ფოთლები დაეშვა ძირს სიმძიმის გამო.

როდესაც ფუტკარმა გამოიღვიძა, მან მიუახლოვა წვენის საწუწნავი ყვავილის ქვედა ნაწილს და სთქვა ისე მაღლა, რომ ყვავილს გაეგონა:—რა მშვენიერი სუნია! მე ვიჩქარებ გაგცარცვო შენ, პატარავ! ეს არ მომიმატებს ბევრ ტვირთს.

— ოჰ! ნუ იზამ ამას, მშვენიერო ფუტკარო, დაუწყო ვედრება ყვავილმა ცანცალით, ნუ მოსპობ მას ჩემთვის, რაც შეადგენს ჩემს ცხოვრებას და ბედნიერებას. მე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ვარ და მინდოდა გავზრდილიყავი.

— როგორ მოვიქცე მე?—უპასუხა ფუტკარმა,—მე ჯერ უნდა ვიზრუნო ჩემ შვილებზე. ყველას თავისი საქმე და მოვალეობა აქვს. ჩემია—წვალება იმის, რაც აქვთ ყვავილებს ყველაზე ძვირფასი. ეს—ჩემი დანიშნულებაა და არა იმისთვის, რომ მომწონდეს მე წვალება და კვლა ყვავილების. ჩვენ, ფუტკრები, დაბადებული ვართ მაგისთვის და ჩვენ არ გექცევით თქვენ უარესათ, ვიდრე ხალხი ექცევა საქონელს და ადამიანებს.

— მე ძლიერ პატარა ვარ, გამოუცდელი ვარ ფუტკარო, უთხრა ყვავილმა,—რომ გასწავლო შენ,—შენ ჩემზე სწავლული ხარ, მაგრამ მე მინდოდა კიდევ მეცხოვრა; მე ჯერ არ ვიცი ის, რაც გამიგონია, რას ეძახიან საღამოს და სიბნელეს.

— შენ ლაპარაკობ როგორც ბავშვი, უპასუხა ფუტკარმა,—და არ იცი, რა ღირს ეს საღამო და სიბნელე, რომელიც შენ გინდა გაიგო, მაგრამ მე არ შემიძლია მეტი მოცდა. ნუ მიშლი მე ჩემი საქმის გაკეთებას.

ფუტკარმა ცოტა გაცარცვა ყვავილი და ბრრმ, ბრრმ, გაფრინდა. ყვავილი არ ჩიოდა მისთვის, რომ მზემ ხელ-ახლათ გაანათა ის და ხელ-ახლათ დაუწყო მას ალერსი.

ფუტკარი ისევ მობრუნდა. შეგროვილი წვენი ცოტა შეიქნა. მის შვილებს არ ეყო თაფლი და სარაჯი. ყვავილი მხიარულათ მიეგება მას და უთხრა:

— მადლობელი ვარ შენი, მშვენიერო ფუტკარო, რომ დამარჩინე ცოცხალი, რომ არ ამომწუწნე მთელი ცხოვრების სახსარი, მე დაგაჯილდოვებ შენ მაგივრათ, დეე გაგათბოს შენ კეთილშობილმა მზემ!

— ეხ! რით შეგიძლია შენ დამაჯილდოვო მე, საწყალო, საბრალო ქმნილებავ?—უთხრა ფუტკარმა.—მე რა—შენი სიტყვებიდან? ამ ქვეყანაში უნდა მოქმედება და არ უნდა დაკმაყოფილდე დაპირებით. დაუჯერე ჩემ გამოცდილებას. შენ მიმაგრებული ხარ მიწაზე ფესვებით, შენ არ შეგიძლია დაიძრე ადგილიდან, მხოლოდ გლეხი მოგჭრის შენ მთელ მინდვრის ბალახთან ერთად, ან და შვილები მისი, თამაშობაში, მოგგლეჯენ შენ და დაგლეჯენ შენი ყვავილის ფოთლებს.

— მე ვერაფერს ვერ ვგებულობ იმიდან, რასაც შენ მელაპარაკები—ამოიძახა ყვავილმა.—ბავშვები, რომლებზედაც შენ ლაპარაკობ, ავები უნდა იყვნენ, და როგორ შემიძლია მე ეს დავიჯერო, როდესაც ასეთი მშვენიერი და კარგია ყველაფერი ირგვლივ? მე მაქვს მხოლოდ ერთი ფიქრი, და მგონია, რომ ეს ფიქრი ყველა სულდგმულისაა: ცხოვრება და დატკბობა ცხოვრებით.

ფუტკარი ყურს არ უგდებდა მას. ის გაეშურა სხვა ყვავილებისაკენ თაფლის შესაკრეფათ.

— გამარჯობა ყვავილო! უთხრა მან მეორე დღეს.—ჰო, ახლა შენ იცი საღამო და ღამე, როგორია შენი ფიქრით?

—ჰე, ნუ მეტყვი მე მაგათზე, უპასუხა ყვავილმა ცახცახით,—მე ეხლა კიდევ ვცახცახობ. როდესაც დაიმალა მშვენიერი მზე და მისცა ნება ღამის სიბნელეს შემოჰკროდა მთელს მინდორს, მე ვიგრძენი რაღაცა საშინელი, თითქო სიკვდილი მოახლოვდა, შევკეცე ფოთლები და ყვავილი დასაძინებლათ. მთელი ღამე მესიზმრებოდა სინათლე და სითბო მზისა. ეხლა ის მობრუნდა,—ნეტავ ისევ მიმატოვებს მზე? რა ცხოვრებაა უსინათლოთ? რა დროს დადგება საღამო, ვერ გამიბედია ფიქრი მაგაზე, მე მგონია, რომ მოვკვდები, მინდოდა კიდე მეცხოვრა... ფუტკარმა დაიზუზუნა და გაფრინდა, მაგრამ მთელი გაზაფხულის განმავლობაში ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს, ლაპარაკობდნენ მშვენიერ ბუნებაზე, გაბედულ ცხოვრებაზე.

ჩქარა იცვლებოდა თვეები, დადგა ზაფხული, გაზაფხულის შემდეგ. შემოდგომა, შემდეგ ზაფხულისა.

ყვავილი ბერდებოდა ისე ჩქარა, ისე ჩქარა, რომ ეძლევოდა სასოწარკვეთილებას, რადგანაც არ შეეძლო გადეხადა მადლობა ფუტკრისთვის, რომელმაც შეიბრალა ის.

— ნუ ჩამთვლი მე არა დამფასებლათ, —მე ვალში ვარ შენთან და მინდოდა გამესტუმრებიე—ეუბნებოდა ყვავილი.

— ვაი, სულელო! განა არ გითხარი, რომ მე ვასრულებ თავის დანიშნულებას,—ყვავილების ცარცვას? შენ თავის დანიშნულება გაქვს—გაჰკნე, შენს მაგივრათ ამოვიდეს სხვა ყვავილი, დაეკარი მიწას, როგორც დაეკვრება დედის გულზე ბავშვი და მოკვდი.

— ახ! არა, არა ჯერ.—შეევედრა ყვავილი.—მე მინდა ვიცხოვრო, რომ დავტკბე ბუნებით. მართალია, მე უკვე ბებერი ვარ, არვინ მიყურებს, ბავშვიც არ მაქცევს ყურადღებას, მზე არ მეფინება. ჩემთვის არის ახლა ღამე, მაგრამ მე მინდა ვიცოცხლო, ვიცოცხლო კიდევ. მე ახლა ვფიქრობ ცხოვრებაზე დღე და ღამე მისთვის, რომ უსიცოცხლოთ არ არის არაფერი, არაფერი!..

— მშვიდობით, უთხრა ფუტკარმა, მშვიდობით ბებერო! მე მეჩქარება.

— მშვიდობით, მშვენიერო ფუტკარო, გაგათბოს შენ მზემ, შენ მაინც მისთვის, რომ მისპობს მზეს ზამთარი.

— მშვიდობით ყვავილო!...

ვლადიმერ—ი.

**ჯოჯოხეთის მანქანა.** ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ბუენოს-აირესში, ეკკლესიაში, საკურთხევლის ზემოთ აღმოუჩენიათ გამზადებული ჯოჯოხეთის მანქანა. გამოირკვა, რომ მანქანა დაუმალავს რუს ანარქისტს კოზიაკინს, რომელიც პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

**ამერიკის ტრესტები.** უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ამერიკის ნავთის ტრესტს წმინდა შემოსავალი აუღია 593,202,064 დოლარი, ე. ი. 1 მილიარდზე მეტი. ტრესტის ქონება ღირს 800 მილიონი მანეთი. აქციონერ დჟონროკფელერს აქვს ყველა აქციების 25% და უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში დივიდენდის სახით მუღია 500 მილიონი მანეთი.

**კონგრესი.** 1911 წელს ივლისში ლონდონში მოწვეული იქნება ადამიანთა სხვა და სხვა რასების წარმომადგენელთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს მიზნათ აქვს, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება, დააახლოვოს დასავლეთის და აღმოსავლეთის რასები საერთო საქმისათვის და საზოგადო კეთილდღეობისათვის. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სადაო კითხვებს იმ სახელმწიფოებისას, რომელთაც განსხვავებული კულტურა აქვთ.

# ახალი ამბები

—

**„სტაროობრიადცების“ გადმოსახლება კავკასიაში.** რუმინიაში და ოსმალეთში მცხოვრებმა „სტაროობრიადცებმა“ რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა რუსეთის მთავრობის წინაშე რუსეთში გადმოსასახლებლათ დასახმარებლათ. ამ მიზნით ამ დღეებში სრულიად რუსეთის «სტაროობრიადცების» საბჭომ ამიერ-კავკასიაში გაგზავნა „ხოდოკი“ პ. მ. მოისეევი, რომელმაც უნდა გამონახოს დასასახლებელი ადგილები. მასთან ერთად წავიდა ორი ოსმალეთში მცხოვრებ „სტაროობრიადცების“ რწმუნებული. სანამ „ხოდოკები“ გაემგზავრებოდენ კავკასიაში, საბჭო შეეკითხა დეპეშით კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც დეპეშითვე უპასუხა, რომ „სტაროობრიადცების“ კავკასიაში დასახლების არა თუ წინააღმდეგი გვაქვს რამე, არამედ—სასურველიცაა მათი გადმოსახლებაო. განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიაში 800 „სტაროობრიადეცის“ ოჯახობა დაასახლონ (რუს. ვედ.)

✦ **თფილისის ტრამვაი.** 10 ნოემბერს ქალაქის თვითმართველობის ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ქალაქის თავის მოადგილის ხატისოვის, გუბერნატორის, ვიცეგუბერნატორის, პოლიცმეისტერის და რამდენიმე ხმოსნების თანადასწრებით ტრამვაის სახელოსნოში აშენებული ახალი ვაგონები გასინჯეს და მოიწონეს. ტრამვაის დირექციამ ზემოხსენებული კომისიის დაპირების პატივსაცემლათ და მათი ტრამვაის სახელოსნოში მოსაყვანათ ერევნის მოედანზე ორი ახალი ვაგონი გაგზავნა, და სადილიც გაუმართა. აგრეთვე სადილის შემდეგ ვაგონებით გაისტუმრა ერევნის მოედნამდე. როგორც გადმოგვცეს ამავე დღეს ტრამვაის დირექციამ უბნის ბოქაულს და ერთ უბნის ზედამხედველს ოქროს საათები უყიდა, ტრამვაიზე წესრიგის დაცვაში დახმარებისათვის.

✦ **ბეჭდვითი საქმის 200 წლის არსებობის აღსანიშნავათ** 1904 წ. ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. ჩერქეზოვმა წინადადება შეიტანა გამგეობაში დაარსდეს ქალაქის ხარჯზე 3 სტიპენდია—2 პირველი და მე-2 გიმნაზიებისათვის და 1-ც ბეჭდვითი საქმის სასწავლებლისათვის. გუშინ საბჭოს მდივანმა მ. ჯაბარუმა განცხადება შეიტანა გამგეობაში, რატომ ეს დადგენილება ამდენხანს სისრულეში არ არის მოყვანილიო და ითხოვს გამგეობას, რათა მან დაავალოს სამოსწავლო კომისიას ამ სტიპენდიების განაწილება და ამ საქმისათვის ყოველივე ხარჯი შეტანილ იქნეს 1910 წ. ხარჯთაღრიცხვაში. ბ-ნი ჯაბარი ამასთანავე მოითხოვს, რომ ამ სტიპენდიების დანიშვნა ხდებოდეს ჟურნალისტთა საზოგადოების ჩვენების თანახმათ.

✦ **მოუსავლობა და სიმინდის სიძვირე.** ქუთაისის გუბერნიიდან გვატყობინებენ: ბევრ ადგილებში საზრდო დეკემბრამდისაც არ ყოფნის გლეხებს. ფუთი სიმინდი ახლავე 1 მ. 20 კ. ფასობს.

✦ **თავდასხმა და დაპატიმრება.** ს. ავჭალიდან გვატყობინებენ: 9 ნოემბერს, ს. გლდანიდან დაბრუნებულ მთავრობის მამასახლისს, რომელსაც ერთი დარაჯი თან ახლდა, თავს დასხმია 8 შეიარაღებული კაცი და სროლა აუტეხიათ. სროლის დროს მოუკლავთ მამასახლისის და დარაჯის ცხენები. თავდამსხმელნი გაიქცენ. ეს ამბავი საღამოს 7 საათზე მომხდარა. ამ შემთხვევის გამო იმავე ღამეს დაატუსაღეს 30 კაცი.

✦ **ჟურნალისტთა გამგეობამ** უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, წაიკითხონ რეფერატი შემდეგ თემაზე: „მოქმედება და მიზანი ჟურნალისტთა საზოგადოებისა“—რეფერატს წაიკითხავს გამგეობის თავმჯდომარე მ. გრუზენბერგი.

✦ **ქალაქის სკოლის მასწავლებლებმა** თხოვნით მიმართეს სასკოლო კომისიას, რათა მან იშუამდგომლოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე საექსკურსიოთ პეტერბურგში მათი გამგზავრების შესახებ. საექსკურსიოთ 21 დეკემბერს გაემგზავრებიან და დაბრუნდებიან 12 იანვარს. ქალაქის სასკოლო კომისიამ ცნობები მოსთხოვა, თუ რამდენი კაცი აპირებს წასვლას და თავიანთ ადგილებზე სკოლებში დროებით ვის ტოვებენ.

✦ **ცნობები ცეცხლის შესახებ.** ოქტომბრის განმავლობაში ქალაქში სულ 7 ადგილას გაჩენილა ცეცხლი—ბუხრების უვარგისობის გამო—3 შემთხვევა, მოურიდებლობის გამო 4.

✦ **მკვლელობა.** 10 ნოემბერს, ბატარეინი ქუჩაზე, დღის 1 საათზე, არსენალის ქუჩაზე მცხოვრებ მ. აირაპეტიანცთან მივიდა ვიღაც კაცი და შეეჰაქრა. ვაჭრობის დროს წაიჩხუბენ: აირაპეტიანცმა პოლიციელს დაუძახა. უცნობმა ამ დროს „მაუზერის“ რევოლვერი ესროლა მას, მაგრამ ტყვია ააცდინა. ნახალოვკისკენ მიმავალ რკინის გზის ხიდთან მდგომ გოროდოვოებმა მისი შეჩერება მოინდომეს, მაგრამ უცნობმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა. გოროდოვოებმაც გაისროლეს, სროლის დროს არავინ დაჭრილა. უცნობი მალაკნის ქუჩას გაუდგა, მეორე რევოლვერი ამოიღო და კვლავ სროლა აუტეხა გოროდოვოებს და მე-3 სტრ. ბატალიონის რამდენიმე სალდათს, რომელნიც ამ დროს შეხვდათ მათ. უცნობი გოროდოვოიმ მოკლა. სროლის დროს უცნობმა დასჭრა: მე-3 სტრ. ბატალიონის უნტერ-ოფიცერი ვორობიოვი, სალდათი ლესნიკოვი, სალდათი დემაანოვი, ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი ი. სვისტუნოვი და რაჭის მცხოვრები ბ. ლომთაძე. მოკლულს აღმოაჩნდა „მაუზერის“ სისტემის 2 რევოლვერი, 2 პატრონდაში 100 პატრონით. მოკლულის ვინაობა არ იციან.

✦ **შეკითხვა.** კავკ. სამეურნეო საზოგადოებამ შეკითხვები დაუგზავნა სოფლის მეურნეებს და ყველა თავის კორესპონდენტებს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესატყობათ და მოსავლის რაოდენობის გამოსარკვევათ. 10 ნოემბრამდე საზოგადოებას 330 დე პასუხი მოსვლია ამ შეკითხვებზე.

✦ **უსახელო საზოგადოებამ** თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს, თუ როდის შეუძლია მას კიროჩნის ქუჩაზე მეორე ლიანდაგის გასაყვანათ მუშაობის დაწყება.

✦ **ბიბლიოთეკა ს. მარტყოფში.** თფილისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას ბიბლიოთეკა-სამკითხველო დააარსოს ს. მარტყოფში.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ** დაადგინა: 1) ოსურ სკოლის მასწავლებლათ მოიწვიონ ბ. აბაევი. 2) ოსური ორ-კლასიან სკოლათაგან ერთი გადაკეთდეს ერთ-კლასიანათ. 3) განაგრძოს მოქმედება თეატრალურ სექციამ, რომელსაც მიემატებიან კიდევ ახალი წევრები. 4) მოაწყონ ლექციები 21 და 22 ნოემბერს.

✦ **გაზ. „ვარსკვლავის“ რედაქტორი ს. ჯინჭველაშვილი** ქ. ქუთაისში პოლიციას დაუპატიმრებია. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

✦ **წარმოდგენის ნებართვა.** გუბერნატორმა ნება დართო ქალთა საზოგადოების თავ-მჯდომარეს „არტ. საზოგადოების“ თეატრში 16 ნოემბერს წარმოდგენა გამართოს სომეხ ობოლ-ბავშვების სასარგებლოთ.


# აგენტების საყურადღებოთ

გთხოვთ გაზეთების ფული დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ

# „მომავალი“-ს კანტორა


✦ **ლოცვანები.** საგანგებო კომისიის მიერ გადათარგმნილი ლოცვანები აფხაზურ ენაზე, 200 ცალი უკვე დაისტამბა და სოხუმის ეპარქიაში გაიგზავნა მრევლში გასავრცელებლათ.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ბარეტისა „ახალი შობლვრება“; ეს პიესა გადმოკეთებულია გ. სენკევიჩის რომანიდან „Quo Vadis“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. მეხუთე აბონიმენტია.

✦ **შირვანზადეს დრამას, „პატიოსნებისათვის“**, სომხურიდან რუსულათ თარგმნის ლ. გრიგორიანი. მიმდინარე სეზონში ამ პიესას პეტერბურგში წარმოადგენენ.

✦ **რედაქციამ მიიღო** ლექსთა კრებული „დილა“—შედგენილი გ. შიხიანცისა. წიგნი შეიცავს 32 გვერდს და ღირს 10 კ.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართული თეატრალური სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება „ორი ობოლი“, მელოდრამა ხუთ მოქმედებათ და შვიდ სურათად, თარგმ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

✦ **ქუთაისიდან გვწერენ.** 8 ნოემბერს დანიშნული იყო ადგილობრივი სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდის“ წევრთა მორიგი კრება. კრება არ შესდგა რადგან არც ერთი წევრი არ დაესწრო.

✦ შაბათს, 7 ნოემბერს, ქალაქის თეატრის დარბაზში გრიგ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

✦ **შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეიპყრეს ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ს. მანუჩიანცი. ამავე დღეს დააპატიმრეს ადმინისტრატიულათ გადასახლებული თფილისის მოქალაქე მ. დარჩიაშვილი. დააპატიმრეს აგრეთვე თელავის მცხოვრები ბ. სარქისოვი. შეპყრობილნი სამართალში აძლევენ.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 9 ნოემბერს, მე-7 საპოლიციო უბანში ჩხრეკის დროს შეიპყრეს 50 უპასპორტო. მათი ვინაობა ირკვევა.

✦ **10 ნოემბერს ვიპოვე პასპორტი** ოზურგეთის მაზრის, ჩიბათის საზოგადოების გლეხის პატარაიასი. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „მომავალი“-ს რედაქციაში.

# წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჯერ კიდევ კალმის აღებამდე სახეში მქონდა გამეცნო მკითხველისათვის ინგლისის სადღეისო და მასთან თავსატეხი კითხვა—ლ. ჯორჯის ცნობილი საფინანსო ბილი ანუ კანონ-პროექტი, რომელიც აგერ ნახევარ წელზე მეტია, რაც ზომაზე მეტს აბობოქრებს აქაურობას და მით მთელი ევროპის ყურადღებას მისკენ იპყრობს. მიუხედავათ ამისა, მე სამერმისოთ გადავსდებ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას და თავს იმით ვიმართლებ, რომ ქართველი არაა ინგლისელი, რომლისათვის „დრო ფულია“!

აქ კი შევჩერდები ლონდონის ცხრა ნოემბერზე ახალი სტილით. ამ დღეს მოხდა ძლიერ პოპულიარული აქაურებისთვის სიტის ლორდ-მეიორის ბრჭყვიალა-ბუზუმენტებიანი პროცესია. ლონდონი ბევრ სათვითმართველო ერთეულებათ არის დანაწილებული და მათ შორის პირველი ალაგი უჭირავს ქალაქის უძველეს ნაწილს ანუ სიტის, სადაც ერთმანეთზეა მირაზმული უთვალავი სავაჭრო, საფინანსო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებანი. სიტი ირჩევს ყოველ წლივ ახალ ლორდ-მეიორს ანუ ბატონ ქალაქის თავს და ამას თან მოჰყვება ხოლმე ძველიდანვე შეურყევლათ გადმოცემული პროცესია. უკანასკნელი სიტელის თვალში მარტო თავშესაქცევი რამ როდია, მასში ის ხედავს თავის დედაქალაქის თავისუფლების ემბლემას. მართლაც, სიტის ძველადანვე დაპყრობილი აქვს მეფეთაგან და მის დამქაშთაგან მრავალი უფლებანი თავის თვითგამორკვევა-მართველობის სფერაში. მას ხელშეკრულებაც კი აქვს დადებული ერთ-ერთ ძველ მეფესთან, რომლის ძალით მეფეს ნება არა აქვს ლორდ-მეიორის დაუდასტურებლათ სიტის საზღვრები გადალახოს და შიგ გაისეირნოს! მეფე მეფობს და არა განაგებს, როგორც ინგლისელები ამბობენ. ეს დადგენილება ღიმილს მოგვრის მკითხველს, მაგრამ ის დიდათ დამახასიათებელია და შეიძლება კვლავ გამოსაყენებელი მომავალში...

მთელი დღე მშრალი და მზიანი იყო, რაიც იშვიათია აქ ამ დროს. შუადღიდან იწყო ხალხის დენა, რომელიც აწყდება ყოველ მხრიდან სიტის. უკანასკნელი შემკულია ფერად-ფერადი ბაირაღებით, რომელთა შორის მეზღვაურთა ბაირაღების სიხშირე გვახსენებენ ინგლისელთა უსაყვარლეს ხელობას—ზღვაოსნობას. მე ვერ დავიქადი, რასაკვირველია, წარმოვუდგინო მკითხველს ნათლათ ამოტელა ორიენტელა ხალხის ჭინჭველივით მოძრაობა, მისი ნამდვილი სურათი. ეს არც შეიძლება, რადგან მოძრაობა ველზე როდი ხდება,—ქალაქში კი „ყველგანმყოფი“ უნდა იყო, რომ ყველა ქუჩა ერთ და იმავე დროს ნახო. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ლონდონი შეიცავს არა ნაკლებ ხუთ მილიონ სულსა, ე. ი. იმდენს, რამდენსაც მთელი ამიერ-კავკასია! თავის თავათ ცხადია, ეს მთელი 5 მილიონი როდი იყო სიტიში და მის ირგვლივ,—ან კი სად ან როგორ დაეტევოდა ამდენი ლაშქარი! უქმე დღეც არ იყო 9 ნოემბერი, ასე რომ, მშრომელი მასსა მისი უმრავლესობით სამუშაოზე იყო. და მიუხედავათ ამისა, ამ მოზღვავებულ ლაშქარის დათვლას მხოლოდ-და ვარსკვლავთ-მრიცხველი თუ იკისრებდა!

საოცარია იმავე დროს, რომ ხალხის ასეთი ვეება დაგროვება ერთ ალაგას უბრალო ინციდენტსაც არ იწვევს, რამე მარცხი ან უბედურება ხომ შეუძლებელია. პოლიცია, ეს ნამდვილი ჟამი კონტინენტზე, აქ თავის პირდაპირ დანიშნულებას ასრულებს შედარებით: ის წელიბზე ფეხს იბიჯებს, რომ ვინმეს რაიმე არ ევნოს; მისი განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ბავშვებზე, რომელნიც თავგებივით დაძვრებიან ირგვლივ. მაგრამ პოლიცია რაღას გახდებო და მარტო,—შეიძლება ისიც ითქვას, რომ ის ამ შემთხვევაში მხოლოდ მეორე და მესამე ხარისხოვანი ფაქტორია. თავი და თავი თვით ინგლისელი ხალხია, რომელიც საკუთარის თაოსნობით და მხნეობით იცილებს თავიდან ყოველ უბედურ და მარცხ შემთხვევას. საოცარია მასთან მეეტლეთა და შოფერების სიმარდე და ადამიანური საქციელი: ისინი ირევიან აზვირთებულ ხალხში, მაგრამ ისე მოხერხებით და მორიდებით, რომ არავის ვნებას არ აყენებენ. მე მომიხდა ერთხელ ირგვლივ გაჭედილ ეტლებ და ავტომობილებ შუა ყოფნა, არ ვიცოდი როგორ დამეხწია თავი; იმავე დროს ყველანი მოძრაობაშია, შეჩერება-გაჭედვას „ხოდინკა“ შეუძლია გამოიწვიოს! სწორეთ ამ დროს ომნიბუსზე მაღლა მჯდომი „ქუჩერი“ თავაზით და მარდათ მითითებს ერთ გასაძრომ ბილიკზე და თანაც თითქო ეფერება ცხენებს, რომ არ დაფეთდენ ჩემი სულ ახლო გავლით. დიახ, ქალაქში უბრალო გავლისათვისაც კულტურაა საჭირო! ვეება ლონდონიც და მისი მცხოვრებნი სწორეთ ამას ამტკიცებენ.

თვით პროცესია გაგრძელდა ოთხი თუ ხუთი საათი. სიტის ყველა მთავარი ქუჩები გაიარა მან და ეს პატარა არაა. ქუჩები დარაზმული იყო ხალხით, რომელთა წესრიგს ნაკლებ ეტყობა პოლიციის ხელი. ჩემი ყურადღება მიიპყრო პროცესიის გავლის დროს გამეფებულმა სისადავემ მიმოსვლაში. ხალხი არ გრძნობდა განსხვავებას თვით პროცესიაში მონაწილეთაგან, იგი გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე და შუაში ხლეჩდა უკანასკნელთ. ეს არც არავის უკვირდა, რადგან ყველამ თავიდანვე იცის, რომ ინგლისელი საქმიანია და მას ვერც პროცესია შეუშლის ხელს, თუ ამას მისი საჭიროება მოითხოვს.

პროცესიის დაწვრილებით დასურათხატება ძნელია და არც იმდენათ საინტერესოა თავის [illegible] წინ [illegible] მიიმართებოდა. დაუსრულებელი ჯაჭვი ხმელეთის და [illegible] მათი [illegible] ვალფეროვანი ჩაცმულობით, ხმლებით, თოფებით, ზარბაზნებით, დროშებით და სხ. დიდ მონაწილეობას იღებდენ სიტის ბალღები მათი ორკესტრებით, სათამაშო ან ნამდვილ თოფებით, დროშებით კომბლებით, სასპო ანუ საპოლკო თხით და სხ. მათ უკან მისდევენ დახრჩობისგან და ცეცხლისგან გადამრჩენი რაზმები მთელი მათი მოწყობილობით და ორკესტრებით, რომელნიც მკვირცხლს შთაბეჭდილებას და „ვაშას“ იწვევენ მადლიერ მოქალაქეთა მხრივ. შემდეგ მოდიან უთვალავი ამქრები და მათი უსტაბაშები სხვადასხვა სამოსლებში, კვერთხებით, ღერბებით, დროშებით და სხ. ამათ მოსდევენ ცხენოსანი პოლიციელნი, რომელნიც მათი მაძღრული სახით და გოლიათური ტანადობით ღირს-შესანიშნავი არიან საზოგადოთ ლონდონში. შემდეგ მოდიან დაუსრულებელი წყება ეტლებისა, რომლებშიაც სხედან უხუცესნი მოქალაქენი მათი თეთრათ ჩაცმული ქალბატონებით; ესენი არიან ის ლიპიან-ზინზილებიანი, რომელთაც თავი ამა ქვეყნის მარილათ მოაქვთ. დასასრულ მოებჯინება ექვს ბედაურ-გაბმული ვეება ძველებური, მთლათ ოქროთ მოვარაყებული, თავდახურული ეტლი, რომელშიაც სხედან „ბატონი მეიორი“ და მისი მეცხედრე, მორთულნი ძველებურათ პარიკ-ახალუხებში. მაგრამ მათზე უფრო დიდ ყურადღებას და მოწონებას იპყრობს აგრეთვე ძველებურათ გამოწყობილი უხუცესი „ქუჩერი“ სიტისა, რომლის სერიოზობა უდრის მის სიმსუქნეს...

მიუხედავათ ყველა ამისა, პროცესიამ ვერ გამოიწვია წელს ისეთი აღტაცება ხალხში, როგორსაც ჩვეული იყო ის წინეთ. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ წლევანდელ პროცესიაში უაღრესი ადგილი ეჭირა სამხედრო ძალას და ტრადაციულ მოქალაქობრივ გამოსვლის გამილიტარისტება ხალხს არაფრათ ეპრიანაო. მაგრამ თვით ეს ცვლილება მოახდინა ინგლისის დღევანდელმა ვითარებამ და აგრეთვე იმანაც, რომ სიტიში დღეს კონსერვატორები არიან გაბატონებული და ლორდ მეიორიც მათი ამყოლია.

ა. ჩ.

## ბ. სვირელის საპასუხოთ.*)

—

ბ. სვირელის სიჩუმე მისი გონიერებით და წინ-დახედულებით ავხსენი. რადგანაც მან სიჩუმე დაარღვია, „გონიერებაც“ და „წინ-დახედულებაც“ მეტად მიმაჩნია და ორივე თვისებას ბ. სვირელს თავიდან მოვხსნი.

თქვენი პოზიცია უკეთესი იყო, სანამ თქვენ სდუმდით, „хранили молчанье въ важномъ спорѣ.“

გაებით, სასაცილოთ გაებით! ახლა კი მართლა „მოსაცხები“ ხართ.

მე ორი ბრალდება წამოგიყენეთ: 1) „პირში ჩალის გამოვლება“ და 2) „რამოხელეობა“.

მეორე ბრალდებას თქვენ ადასტურებთ, მხოლოდ იქვე განმარტებას აძლევთ: ეს სიტყვები მთელი ქვეყნის მუშებს არ ეხებოდაო. პირველ ბრალდებას კი უარყოფთ: არა, არ მითქვამს; დაამტკიცეთ ან უკან წაიღეთო.

მე მგონია, თქვენი განმარტებაც და ჩვენი დასამტკიცებელი საბუთებიც სამედიატორო სასამართლომ უნდა განიხილოს. ეს ასეც მოხდება; მაგრამ თქვენ, ბ. სვირელო, რისთვის არ გვიწვევთ „მეგობარს“ და მე სამართალში? თუ ჩვენგან წამოყენებული ბრალდება მართლაც „თავზე ლაფის დასხმათ“ მიგაჩნიათ, ხომ უნდა ეცადოთ, რომ სასამართლომ „მეგობარს“ და „იკას“ მათივე ნათქვამი უკან წაალებინოს? თქვენ კი მიბრუნებულხართ და მორიდებით სცდილობთ მოიხოცოთ ეს „ლაფი“ და ვერ ამჩნევთ, რომ უფრო ისვრებით.

დიახ, მზათ ვარ ყოველივე დაგიმტკიცოთ; ამისათვის გაძლევთ წინადადებას გამომიწვიოთ სამართალში: не гора къ магомету, такъ магометъ къ горѣ.

ძლიერ გწყენიათ, რომ ფსევდონიმები

*) რადგანაც საკამათო საგანი საკმაოთ გამორკვეულია ამით ვსპობთ ამ კითხვის შესახებ ყოველივე კამათს არსებითათ. რედ.

გასხამენ „ლაფს“. მე მგონია, „ლაფი“ ლაფათ დარჩება, არც გატკბილდება და არც ძველი ღმერთების ნექტარათ იქცევა. „მეგობრის“ და „იკას“ მაგიერ რომ სხვა ვინმემ, ივანემ და პეტრემ, გადაგვალოთ იგი. ეს სხვათა შორის.

ახლა თქვენ „მიზანს“ შევუდგები. ამ „მიზანს“ მე თქვენსავე „ისტორიაში“ მოვნახავ. იგი მოგვითხრობს: ამა წლის მაისში სექციაში დაისვა კითხვა „რეორგანიზაციის შესახებ. ე. ი. ვამბობ მე— მაისში სექციის გაუქმება საჭირო არ ყოფილა, მხოლოდ მისი შეკეთება ყოფილა სასურველი. სექციას აურჩევია სარეორგანიზაციო კომისია. ახლა ვალაპარაკოთ თვით ბ. სვირელი: „ჩვენ მოკავშირეთა (მოკავშირეებს ბ. სვირელი ასახელებს: ბ. ბ. სვირელი, ტოროშელიძე და ქ. ქ. დემურია, რომანიშვილი) ღალატის გამო სარეორგანიზაციო კომისიაში გავიდენ არა მოკავშირეთა მიერ დასახელებული პირები, არამედ სრულებით სხვები. ამასობაში (სიჩუმე, სიჩუმე!) ჩვენ: მე, ბ. ტოროშელიძემ, დ. დუმბაძემ და კ. შათირიშვილმა განვიზრახეთ სექციისა და აგრეთვე სცენის მოყვარეთა და მოღვაწეთა დიდი ხნის სურვილის განხორციელება და შევუდექით დამოუკიდებელი წრის წესდების შედგენას“. კმარა! ნება მომეცით ბ. სვირელო, თქვენი „ისტორია გავამარტივო“; ყური დამიგდეთ.

მაისში თქვენ გინდოდათ სექცია სექციათ დარჩენილიყო, მხოლოდ მისი შეკეთება გსურდათ. იმავე „ისტორიაში“ სწერია, რომ თქვენ და ბ. ტოროშელიძე იმ აზრის იყავით მაისში და შემდეგ, რომ სექცია სახალხო უნივერსიტეტს ეკუთვნოდა და არა სხვა ვინმეს. შეუდეგით სარეორგანიზაციო კომიის არჩევას. არჩევნებში მოკავშირეებმა გიღალატეს: თქვენთვის არა სასურველი პირები აირჩიეს. დამარცხდით და ამ დამარცხების შემდეგ თქვენ და ბ. ტოროშელიძე შეუდეგით ახალი წრის შედგენას. ამას თქვენ თვითონ ლაპარაკობთ; ყოველივე ეს შავით თეთრზე სწერია. ეს „ცრუმოწმის“—გესმით, ბ. ტოროშელიძევ?—ჩვენება კი არ არის, ეს თვით ბრალდებულის ნაჩვენებია.

ჩემი თანამოაზრე „მეგობარი“ დასცინის ბ. სვირელს: შენი თავი შენ თითონ რისთვის გაიროზგეო. მე კი სიცილს არ დავაყრი თავზე; მე ვტყუვი ბ. სვირელს: ბრალდებულს გულ-ახდილობა აქტივში ჩაეთვლება. და, უეჭველია, მომავალი სამედიატორო სასამართლო—მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. სვირელი „ლაფს“ არ შეგვარჩენს და სასამართლოს მოითხოვს,—ამ გულ-ახდილობის უანგარიშებსთ ბ. სვირელს.

მაშ, რას გამოუწვევია ახალი „წრის“ დაარსების აზრი? მუშების გარეკის სურვილის გარდა პირად დამარცხებასაც. ადამიანს ეპატივება ანტი-დემოკრატიული მიმართულება, ყოველ გულ-წრფელ აზრს, მიმართულებას პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. მაგრამ როდესაც საზოგადოებრივ ბრძოლას პირადი ინტერესებიდან გაჩედილი ჩარხი ატრიალებს, უნდა დაიმსხვრეს ეს ჩარხი.

ყოველ შემთხვევაში, მე ველოდები ბ. სვირელის მსაჯულებას. **იკა.**

**შეცდომის გასწორება.** „მომავალის“ № 62, წერილში „კიდევ ძველი და ახალი სექცია“ მეორე სვეტზე შეცდომით დაბეჭდილია—**მუშათა მომეტებული ნაწილი** უნდა იყოს: **მუშათა მომეტებული ნაწილი.** დაბეჭდილია **ალწერილია** უნდა იყოს **აწეწილია.**

# პროვინცია

**ს. ლესა** (გურია). ლესა ჩიბათის საზოგადოების ერთი მოზრდილი სოფელია, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 175 კომლს უდრის. იშვიათათ შეხვდები კაცი გურიაში ბუნებით ისე უხვათ დაჯილდოებულ სოფელს, როგორც ლესაა. ბევრი და კარგი ხარისხის სახნავ-სათესი მიწების წყალობით აქ ბლომათ მოდის სიმინდი, რომლის ორი მესამედი გასაყიდათ გააქვთ, დიდი უზარ-მაზარი ტყე, რომელიც რკინის გზის მეორე მხარეზე აკრავს ამ სოფელს და გრძელდება თითქმის ქ. ფოთამდის, საშუალებას აძლევს აქაურ მცხოვრებლებს დაამზადონ ხე-ტყის მასალა და გადაზიდონ ფოთში. ყველა ამ სიკეთის მიუხედავათ, ლესა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი სოფელია. აქ არ არსებობს სკოლა.

ამ 5—6 წლის წინათ არსებობდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ზოგიერთი ვაჟბატონების წყალობით და მათ შორის იმ ვაჟბატონებისაც, რომელთაც ჩაბარებული ქონდა ამ სკოლის ბედ-იღბალი, სკოლა დაიხურა.

1907 წელს ზოგიერთი პირების ინიციატივით გამოტანილ იქნა სკოლის განაჩენი, რომ აეშენებიათ სკოლისთვის შენობა, მხოლოდ სკოლის შენობის აგებამდის მოეწვიათ მასწავლებელი და კერძო სახლში დაეწყოთ სწავლა. მასწავლებელი მოიწვიეს, სწავლა კერძო სახლში დაიწყო, მაგრამ სკოლის შენობის აგებას არა ეშველა-რა. რადგანაც ამისათვის სოფელმა მიუხედავათ თავისი განაჩენისა, ერთი გროში არ გამოიღო, რის მიზეზსაც ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს დაპირებით ლესას სკოლას სასკოლო შენობის აგებისათანავე მიეცემოდა მასწავლებლს ჯამაგირათ 300 მ. და სწორეთ ამ იმედით მოიწვიეს მასწავლებელი და მასწავლებელმაც იმ იმედით დაიწყო მეცადინეობა, რომ მალე სკოლის შენობას ააგებენ და ჯამაგირიც დამენიშნებაო, მაგრამ როგორც ზევით დავინახეთ, სკოლის შენობის აგება არ მოხერხდა და ამგვარათ კერძო სახლში მოწვეულმა მასწავლებელმა ბ. ბენ. კვაჭაძემ მთელი 1907—1908 სამოსწავლო წლის განმავლობაში უსასყიდლოთ იმეცადინა 50-მდე მოსწავლესთან. როცა სამოსწავლო წლის ბოლოს გავაგებინეთ ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეს დეკანოზ არსენ თოხაძეს, რომ მთელი წლის განმავლობაში მასწავლებელ კვაჭაძეს ერთი გროში არ მიუღია თავის შრომის ფასათ—დეკანოზმა არ. თოხაძემ პატიოსანი სიტყვა მოგვცა, რომ რადგაც 15 პროცენტიანი ფონდი გვაქვს და გიორგობისთვეში, როცა კრედიტს გაგვიხსნიან ამ ფონდიდან მასწავლებელ კვაჭაძეს ერთდროულ დახმარებას მივსცემთო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ დეკანოზ არს. თოხაძის დაპირება მხოლოდ დაპირებათ დარჩა.

ამის შემდეგ, ე. ი. 1908 წლიდან ისევ კერძო სახლში იწყებს მეცადინეობას მასწავლებელი ქალი ქ-ნ სალუქვაძისა. მეცადინეობს ამ ხნის განმავლობაში თითქმის უსასყიდლოთ, რადგან ეპარქიალური სამოსწავლო საბჭო პირდება ჯამაგირის დანიშვნას იმ დღიდან, როცა სასკოლო შენობა გაკეთდება და ეს სულგრძელი ადამიანიც უცდის შენობის აგებას. საბედნიეროთ, სოფელმა უკვე გამოიტანა განაჩენი, რომ ააშენოს სასკოლო შენობა და ამ განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ აირჩია მზრუნველები, რომლებმაც უკვე გამონახეს შესაფერი შენობა, გაურიგდენ ფასზე, მისცეს ფულის ნაწილი და დანარჩენსაც ახლო მომავალში მოკრეფისთანავე მისცემენ. ასე რომ, მოსალოდნელია ახლო მომავალში ლესაში იქნეს სკოლისათვის საკუთარი შენობა და ჯამაგირიანი მასწავლებელი.

დასასრულ აღვნიშნავ კიდევ ერთს არა-სასიამოვნო მოვლენას: როცა მზრუნველებმა სასკოლო შენობა გამონახეს და ეს შენობა ისეთი გამოდგა, რომ შიგ სცენის მოწყობაც შეიძლებოდა, მასწავლებლის ოთახების დახმარებით, ჩვენ გადავსწყვიტეთ მოგვეწყო წარმოდგენა და რაც ფული შემოვიდოდა მოგვეხმარება სასკოლო ოთახის და მასწავლებლის ოთახების შუა გასავალი კარების გასაკეთებლათ, მაგრამ როცა წარმოდგენის გამართვის ნებართვა ვსთხოვეთ მაზრის უფროსს, ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი გვითხრა და ამგვარათ, ეს სიმპატიური განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. სასურველია სკოლის გამგე და მზრუნველები მიაქცევდენ ყურადღებას ამ გარემოებას და თუ მოხერხებული იქნება, ისე ააშენონ სკოლის სახლი, რომ შიგ შესაძლებელი გახდეს წარმოდგენების გამართვაც.

**ბარ. შარაშიძე.**

**ს. სუფსა** (ოზურგეთის მაზრა). ზოქაულ ცხადაძის მეცადინეობით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ითხოვეს ფოსტის განყოფილების დაარსება, რაც მცხოვრებთა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

აქ არსებობდა უფასო სამკითხველო, რომელიც 1902 წ. დაიკეტა მთავრობის განკარგულებით. რაც წიგნები და სურათები იყო სამკითხველოში, გაგზავნილ იქნა ჩოხატაურის კანცელარიაში—ზოგი თავგებმა დახრეს და ზოგიც დაიკარგა. ეხლა, როგორც მთავრობის წარმომადგენელი დაგვპირდა. ფიქრობენ ხელახლა გახსნან სამკითხველო, მაგრამ ადარც წიგნები არის და ადარც სხვა რამე. საჭიროა, თუ ვინმეს შერჩენია კიდევ სამკითხველოს წიგნები დროით დააბრუნოს უკან.

წელს დიდის გვალვის გამო საზოგადოთ მოსავალი ძალიან ნაკლებია. სუფსაში კი, სხვა ადგილებთან შედარებით არა უშავს-რა, ვინაიდან სუფსის არე-მარე ძლიერ ნოტიოიან ადგილებს წარმოადგენს და ამის გამო გვალვამ მოსავალს ვერა ავნო-რა, მაგრამ ჩარჩებმა იღროვეს და ფუთი სიმინდი 30 კაპიკათ ჩაიგდეს ხელში გაჭირვებულ გლეხებიდან, რომ მეტ ფასებში გაგზავნონ საზღვარ-გარეთ. საჭიროა ყურადღება მიაქციონ, რომ სიმინდი შედავათიან ფასებში მისცენ მოუსავლობით დაზარალებულ გლეხებს. **მოკლე.**

# მუშათა შორის

**„ბუბლიჩნიების“ მუშათა ცხოვრებიდან.** არა მგონია რომელიმე პროფესიის მუშები ისე, ჩამორჩენილნი იყვნენ ცხოვრებას, როგორც ბუბლიჩნიებში მომუშავეები არიან. ერთი შეგნებული მუშა სანთლით საძებარია. სწორეთ ამით აიხსნება მათი აუტანელი პირობები. წარმოიდგინეთ კვირა დღეებში მათთვის არ არის მოსვენება. როცა თავისუფალი დრო აქვთ იმის მაგივრათ, რომ გაზეთები წაიკითხონ და გაიგონ რამე, ან უაზროთ დაეხეტებიან და ან სარდაფებში თვრებიან.

ბუბლიკების საცხობი ქარხანა თფილისში დაახლოვებით რვა თუ ცხრა იქნება. გარდა ერთი ქარხნისა ყველგან მუშაობდენ კვირაობით. „წმინდა წაპალდობამო“ რომ იტყვიან, ერთ ხაზეინსაც ისე დაემართა. დაინახა, რომ სხვები მუშაობდენ და თვითონაც მოინდომა კვირაობით მის ქარხანაში ემუშავნათ მუშებს. ასეთი განზრახვა მომუშავეებს არ ეჭაშნიკათ და შეეკითხენ ხაზეინს: მაშინაც გვამუშავებ თუ სხვა ქარხნებშიაც მოსპობენ მუშაობას? ხაზეინმა უპასუხა,—არაო. მაშინ დაფაცურდენ ამ ქარხნის მომუშავები და მათი წინადადებით რამდენიმე ქარხანაში კვირა დღეობით მუშაობას თავი დაანებეს მუშებმა. იმედი აქვთ ყველა ქარხნებში მოსპონ კვირაუქმე დღეებში მუშაობა.

კითხვა აღძრა კავშირის დაარსებაზეც, რაც მუშებისთვის აუცილებელი საჭიროა. საჭიროა საქმეს ენერგიულათ მოეკიდონ და ყველაფერი გაკეთდება. **გ. კვიმატი.**

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ბრძოლა ინგლისის ბიუჯეტის გარშემო.**

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ინგლისში ბიუჯეტის გარშემო ამ ჟამათ ცხარე ბრძოლა სწარმოებს.

პირველი კითხვის დროს ლორდთა პალატას არაფერი უთქვამს ბიუჯეტის წინაალმდეგ, მარა მათმა ერთმა ბელადთაგანმა, ლორდმა ლენსდოუნმა ოფიციალურათ განაცხადა, რომ ბიუჯეტის მეორეთ კითხვის დროს ის წინადადებას მისცემს ლორდებს, რათა ბიუჯეტის დამტკიცება-უარყოფის შესახებ ხალხს შეეკითხონ. ასე რომ, ლორდები არ ამბობენ პირდაპირ—ამტკიცებენ თუ არა ბიუჯეტს, არამედ—ხალხმა გაგვასამართლოს მოითხოვენ. როგორც სააგენტოს გუშინდელმა დეპეშამა გადმოგვცეს. ბიუჯეტის მეორეჯერ კითხვის დროს ზემოხსენებულ ლორდს თვისი წინადადება უკვე შეუტანია ბიუჯეტის საკითხი ამ დღეებში გადაწყდება. თუ ვინმესთვის საეჭვოა ის, რომ აქვთ თუ არა ლორდებს ბიუჯეტის დამტკიცების ან უარყოფის უფლება, ის მაინც აღარ უნდა იყოს საეჭვო არავისთვის, რომ სათემო პალატის ახალი არჩევნების დანიშვნა ლორდების უფლებას არ შეადგენს. ლორდ ლენსდოუნის წინადადება კი სწორეთ ასეთია. ლორდებმა ამით დემოკრატიულ ინგლისს ომი გამოუცხადეს და ბევრისთვის საეჭვო „კონსტიტუციონური კრიზისიც“ გამართლდება, რასაკვირველია, თუ საქმეს ამნაირი მსვლელობა მიეცა. ეჭვი არაა, სათემო პალატის ლიბერალური სიამოვნებით მიიღებენ ლორდების წინადადებას და გაჰყვებიან მათ „სახალხო სამართალში“, მარა კითხვა სასამართლოში, რასაკვირველია, სულ სხვანაირათ დაისმება, ვინემ ლორდები ფიქრობენ. ამიტომ ორივე მოწინაალმდეგე მხარე დიდ მზადებაშია. ბიუჯეტის უარყოფის და ახალი არჩევნების მოლოდინში კონსერვატიული გაზეთი „ტაიმს“-ი ცდილობს იწინასწარმეტყველოს თუ როგორ წავა კონსერვატორების საქმე მომავალ არჩევნებში. მას კონსერვატორებისთვის ხელ-საყრელათ მიაჩნია ის, რომ ლიბერალები ერთ და იმავე დროს დაიცავენ ბიუჯეტს და წავლენ ლორდთა პალატის და პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ამ სამ ლოზუნგთან გაზეთის აზრით პირველ ადგილს დაიჭერს ლორდთა პალატის წინააღმდეგ გალაშქრება და ვინაიდან ინგლისელი ზომიერი ამომრჩეველი ლორდთა პალატის წინააღმდეგ არ წავა, ამით ლიბერალები თავიანთ საქმეს წაახდენენ, მარა იქვე მოყვანილია გაზეთში წარსული არჩევნების ცნობები, რომელიც ცოტა იმედს იძლევა, რომ კონსერვატორები გაიმარჯვებენ. უმრავლესობა რომ გახდენ კონსერვატორები პარლამენტში, უნდა „იგდონ“ 169 დეპუტატის ადგილი. გაზეთის აზრით არც ირლანდიაში, არც შოტლანდიაში და არც უელსში კონსერვატორებს არ აირჩევენ, მაშასადამე, ყველა მათი დეპუტატები უნდა არჩეულ იქნან ინგლისში; აქ კი უკანასკნელ არჩევნებზე მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა 327 დეპუტატი აირჩია; ასე რომ, კონსერვატორებმა მათ დეპუტატთა ნახევარი ადგილი უნდა „წაართვან“, რასაც, ეჭვი არაა, ვერ მოახერხებენ. ამიტომ, როგორც მუშათა პარტია, ისე ლიბერალები უფრო იმედიანათ და ხალისით მოელიან არჩევნებს, ვინემ მათი მოწინააღმდეგენი, რომელნიც იცავენ: მიწათ-მფლობელებს, ლუდის-მხარშველებს, სადამოქნო გადასახადებს და თვით ლორდთა პალატასაც თაყვანსა სცემენ.

მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება რამდენიმე მაგალითი რომ მოვიყვანოთ იმის, თუ როგორ იბრძვიან ბიუჯეტის მოწინააღმდეგენი. უმთავრესი იერიშები მათ მინისტრებზე მიაქვთ. მათი აზრით მინისტრები «სოციალისტები» და „კომუნისტები“ არიან. უპირველესათ ასეთი სახელით პრემ. ასკვიტს ნათლავენ, იმ ასკვიტს, რომლის იმპერიალიზმს კონსერვატორები ლიბერალებს სამაგალითოთ უხდიდენ. მას სწამებენ „ათი მცნებიდან სამის გაუქმებას“. ის დახატულია კარიკატურულათ აქტიორის სახით და ლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი რაღაცას უჩურჩულებენ. ერთ ქაღალდზე დახატულია ლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი, რომელთაც რევოლიუციის აჩრდილი მოაქვთ ჩირაღდნით ხელში და პირ-დაღებული მგელის სახით. მეორე ქაღალდზე იგივე მინისტრები დანით ხელში გზათ მიმავალ კაცს უდარაჯებენ, რომელსაც ჩემოდანი მიაქვს წარწერით—„მუშის ნაჭირნახულევი“, მესამე ქაღალდზე ისინი ცეცხლს უკიდებენ უზარ-მაზარ შენობას, რომელსაც „ინგლისის კონსტიტუცია“ აწერია და სხვ....

ლოიდ-ჯორჯი სხვათა შორის იმიტომ ეჯავრებათ კონსერვატორებს, რომ ის უბრალო მეწაღის („საპოჟნიკის“) შვილია. ის პარლამენტში აირჩიეს 1900 წ. იმ დროს პარლამენტში შოვინიზმს დიდი გასავალი ქონდა, ლოიდ-ჯორჯმა თავისი მჭერმეტყველობით და ცოდნით ომიანობის წინააღმდეგ გაილაშქრა. ინგლისის თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწეებში ის პირველი კაცია. მისი სიტყვები ბიუჯეტის სასარგებლოთ ცოფს გვრის კონსერვატორებს, სათემო პალატაში საუკეთესო ორატორათ და პოლემისტათ ითვლება ჯოზეფ ჩემბერლენი, რომელიც ბიუჯეტის წინააღმდეგი იყო. ლოიდ-ჯორჯი არა თუ შეებრძოლა ამ ყველასაგან „შეუბედავ“ დეპუტატს, არამედ კიდეც დაამარცხა. ასე რომ, მინისტრთა კაბინეტში ყველაზე ძლიერი ფინანსთა მინისტრი—ლოიდ-ჯორჯია. ჩერჩილი იმიტომ ეჯავრებათ, რომ ის გერცოგის ჩამომავლობისაა, რომელთაც (მის წინაპრებს) გერცოგობა იმიტომ კი არ მიუღიათ, რომ მეფისთვის საყვარლები მიეყვანათ, არამედ—სამშობლოს ერთგულთა სახელი ომში დაიმსახურეს. პირველათ ის პარლამენტში აირჩიეს როგორც კონსერვატორი. პარლამენტში ის თანდათან მემარცხენეთა მხარეზე გადაიხარა. წინეთ ჯარში მსახურებდა უბრალო აფიცრათ. ინგლის-ბურების ომის დროს ის ბურებმა ტყვეთ წაიყვანეს პრეტორიაში; ტყვეობაში მან დიდი სიმამაცე გამოიჩინა და სამშობლოში გამოიქცა. პარლამენტში ის ისეთივე გატაცებით იბრძვის ბიუჯეტის სასარგებლოთ, როგორც ბურების წინაალმდეგ იბრძოდა. მისი სიტყვები მეტათ მკაცრია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტის მოწინაალმდეგენი ისეთ ფაქტებს, რომელიც მათ „ხელს არ აძლევთ“, რასაკვირველია, „აფუჩეჩებენ“. მაგ.: ბიუჯეტის მომხრენი არიან ლანკაშირელი მსხვილი მექარხნეები (ლანკაშირი დიდი სამრეწველო კუთხეა [illegible] დასავლეთით), [illegible] მეპატრონენი და მსხვილი [illegible] პატრონები. ყველა ამათთვის პროტექციონიზმის დაკანონება „ცოცხლათ დასამარებას“ ნიშნავს, მარა მათ ლორდები სათვალავში არ იღებენ, ალბათ იმიტომ, რომ ბიუჯეტის მომხრეთა რიცხვი არ გაამრავლონ.

# წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „მომავალის“ მე-62 №-ში დაბეჭდილია ბ. სვირელის „დაგვიანებული პასუხი“: კიდევ ძველი სექცია და ახალი წრე“, სადაც სხვათა შორის მეც მეხება. ყოველივე ის, რასაც ბ. სვირელი ჩემ შესახებ სწერს, თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა.

1) მე არასოდეს არ ვყოფილვარ მოკავშირე არც ბ. სვირელისა და არც ბ. ტოროშელიძისა და თუ ვყოფილიყავ, კიდევაც შევრჩებოდი მათ, რადგან საკმარისად ბატონი ვარ ჩემი სიტყვის და რწმენის და არ მჩვევია ორჭოფობა.

2) სექციის რეორგანიზაცია ბ. სვირელს და ბ. ტოროშელიძეს იმ წამსვე სურდათ, რა წამსაც გადმოვედით ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ე. ი. შუა სეზონის დროს, და მხოლოდ მე შევაჩერე ამ კითხვის აღძვრა, როგორც უხერხული შუა სეზონში.

3) მე ვიყავი მსურველი სექციის კოოპტაციისა, ისიც სეზონის დამლევს.

4) ბ. სვირელი მე სახალხო უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მითმობს ალაგს. ესეც სიმართლეს მოკლებულია. ბ. სვირელის და კომპანიის მხრით აღძრული იყო კითხვა, ვისი ფირმით ვმუშაობთ და შემდეგშიაც ვისი ფირმით ვიმუშაოთ და რომ ჩვენ დიდი საფრთხე მოგველოდა დრამატიულ საზოგადოების მხრით, რადგან ისინი აპირობენ ჩვენთვის დათმობილ დღეების უკან წართმევასო. მაშინ იყო გამოთქმული მაგათ მხრივ სრულიად დამოუკიდებელ წრის დაარსების სურვილი, რაც სექციამაც სასურველათ იცნო. მხოლოდ კითხვა დაისვა, ვისი ფირმით უნდა ვიმუშაოთ მანამდეო, ჩემი ხმა, როგორც მომეტებულ ნაწილისა, ეკუთვნოდა სახალხო უნივერსიტეტს, და მაგათი კი სწორე მოგახსენოთ არ მახსოვს.

ყველა ეს ზემოხსენებული ისეთივე სიმართლე არის, როგორც ყველა ის, რაც ჩემ წარსულ წერილში იყო ბ. სვირელის და ბ. ტოროშელიძის შესახებ «მომავალის» ნომერში. რომელიც ერთმაც და მეორემაც თავიანთ საქმით და ნამოქმედარით თვითონვე ასე მშვენივრათ დაადასტურეს.

**სოფიო რომანიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

# ღია წერილი

**ვანო თუმშელოვს და იაგორ დეკანოზოვს.**

11 ოქტომბერს თქვენ მე მისალმების დროს სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენეთ და საჯაროთ ჯაშუში მიწოდეთ. მე გთხოვე აგეხსნათ ჩემთვის მიზეზი ასეთი შეურაცხყოფისა, მაგრამ თქვენ კიდევ უფრო გამდანძდით და ხელითაც შეურაცხყოფა მომაყენეთ. გულის სიღრმემდე აღშფოთებულმა მით რომ ჯაშუში მიწოდეთ გამოგითხოვეთ სიტყვიერათ სამ. სამართალში, მაგრამ თქვენ უარი სთქვით. ამ წერილით ერთხელ კიდევ გაძლევთ წინადადებას გამოუყვეთ სამედიატორო სამართალში, რომელმაც ან უნდა მოგვშოროს საჯაროთ მოცხებული ჩირქი, ან და დაამტკიცოს ჩვენი საზიზღრობა. ვადათ გაძლევთ ერთ კვირას ამ წერილის დაბეჭდვიდან. თუ რომელიმე მათგანს გარემოება ნებას არ მისცემს ჩვენი წინადადება მიიღოს, მაშინ ჩვენ თანახმა ვართ ჯერ ერთთან გავსამართლდეთ, მერე მეორესთან. განაჩენი გამოცხადებულ უნდა იქნას.

**ვასილ შიხიანცი.**

# განცხადება

ვიღებთ ყოველნაირ
## საკერავს
კაბებს და თეთრეულებს იაფ ფასში. მეორე თუმანოვის ქ. № 17.
(5—5) მარიამ რ. მელითაურისა.

კანტორა და სკლადი
## ი. ახოზაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იყიდება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სატელი 40 კ.

„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სესუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—15

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3